მიღება-ჩაბარების აქტი №5

12 ოქტომბერი 2015 წელი ქ. თბილისი

ქვემო ხელმომწერნი, ერთის მხრივ ქ. თბილისის მერიის ეკონომიკური პოლიტიკის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილის მოვალეობის შემსრულებლის ე. ბურდილაძის სახით (შემდგომში წოდებული, როგორც „შემსყიდველი") და მეორეს მხრივ შპს "ცენტრალ თრეველი" (შემდგომში წოდებული, როგორც „მიმწოდებელი") მისი დირექტორის ი. ჩოგოვაძის სახით, ვადასტურებთ, რომ მიმწოდებელმა მიაწოდა და შემსყიდველმა მიიღო „ინკლუზიური ტურიზმის – III საერთაშორისო კონფერენციაში" მონაწილე მოწვეული სტუმრისათვის ავიაბილეთი: პეკინი-ალმაატა-თბილისი/თბილისი-ბაქო-პეკინი, თანხით 2195.90 ლარი.

(საფუძველი: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2015 წლის 9 სექტემბრის №36.03.1039 განკარგულება). მხარეებს ერთმანეთის მიმართ პრეტენზიები არ გააჩნიათ.

შემსყიდველი:

ქ. თბილისის მერიის ეკონომიკური

პოლიტიკის საქალაქო სამსახური

მის: შარტავას №7

ე. ბურდილაძე

მიმწოდებელი:

შპს "ცენტრალ თრეველი"

ქ. თბილისი, ფალიაშვილის 85

ს/კ №204955806

ი. ჩოგოვაძე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა

განკარგულება № 36.03.1039

„9" სექტემბერი 2015 წ.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის „მეწარმეობის მხარდაჭერა" ფარგლებში გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირ „პარსასთან" თანამშრომლობის ფარგლებში 2015 წლის 11 ნოემბერს გეგმავს „ინკლუზიური ტურიზმის - III საერთაშორისო კონფერენციის" ორგანიზებაში მონაწილეობას.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ბ" ქვეპუნქტის, 75-ე მუხლის „ე.თ", „ე.ი" და „ე.კ" ქვეპუნქტების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-58 დადგენილებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების მე-11 მუხლის მე-5 პუნქტის, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 დეკემბერის №18-57 დადგენილებისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 24 თებერვლის ბიუროს სხდომის №11 ოქმის საფუძველზე,

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა ადგენს:

1. მიზანშეწონილად ჩაითვალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომლობა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირ „პარსასთან" და 2015 წლის 11 ნოემბერს „ინკლუზიური ტურიზმის - III საერთაშორისო კონფერენციის" ორგანიზებაში მონაწილეობის მიღება.

2. აღნიშნული ღონისძიების უზრუნველსაყოფად, საკონფერენციო დარბაზის დაქირავების (შესაბამისი აღჭურვილობით), კვებით გამასპინძლების, მოწვეული სტუმრების ავიაბილეთების, ტრანსპორტირებისა და სასტუმროში განთავსების ხარჯები, 35 000 (ოცდათხუთმეტი ათასი) ლარი, გაწეული იქნეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამიდან „მეწარმეობის მხარდაჭერა" (4.1).

3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურმა: წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, უზრუნველყოს თანხის გადარიცხვა შესაბამის ანგარიშზე.

4. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველ მოადგილეს (ვიცე–მერი).

ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, N6), კანონით დადგენილი წესით, ერთი თვის ვადაში.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერი დავით ნარმანია

ქ. თბილისი 0160. ჟ. შარტავას ქუჩა №7. ტელ.: (+995 32) 378 254, ფაქსი: (+995 32) 378 202